თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.პროგრამის ამოცანაა „ბავშვის უფლებათა კოდექსით" განსაზღვრული ოჯახის/ბავშვის მხარდამჭერი ღონისძიება, რომლის მიზანია ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 2023 წლის 14 თებერვლიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე;

3. პროგრამის ბიუჯეტი : 10 000 (ათი ათასი) ლარი;

4.პროგრამის დაფინანსების წყარო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი;

5.პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია;

მუხლი 2. პროგრამის ღონისძიებები:

პროგრამის მიზანია, დაეხმაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სამიზნე ჯგუფს საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ჰიგიენური საშუალებების, საკანცელარიო (მათ შორის სახელმძღვანელოები) და სხვადასხვა პირველადი საჭიროების მქონე ნივთების შეძენაში.

მუხლი 3. პროგრამის სამიზნე ჯგუფი:

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე, გამოკვეთილი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი შემდეგი ოჯახები:

ა) ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი ბავშვი;

ბ) მიტოვების რისკის მქონე ბავშვიანი ოჯახები;

გ) ოჯახები, რომელთაც ჰყავთ შშმ ბავშვი/ბავშვები;

დ) ობოლი ბავშვები;

ე) ასევე ის ბავშვები, რომელთაც ჰყავთ შშმ მშობლები;

მუხლი 4. დაფინანსება:

ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ გამოვლენილი საჭიროების მქონე ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ მხარდაჭერას პროგრამის ფარგლებში მიეცემათ არაუმეტეს 1000(ათასი) ლარის ფინანსური დახმარება წელიწადში ერთჯერადად.

მუხლი 5. პროგრამის ადმინისტრირების წესი:

1. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს (ინფორმაციას) განიხილავს ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება;

2. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას ან/და საჭიროებების შეფასების(სკრინინგის) დოკუმენტს განიხილავს მერის ბრძანებით შექმნილი კომისია და შეიმუშავებს მერის სახელზე რეკომენდაციას;
3. კომისიის რეკომენდაცია შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცემა ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას, რომელიც კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, ამზადებს ფინანსური დახმარების გაცემის შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს;

მუხლი 6 . დახმარების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

ა) ბავშვის/ბავშვების დაბადების მოწმობა/მოწმობები

ბ) მშობლის/ბავშვის შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

გ) მშობლის/მშობლების გარდაცვალების დამატასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დ) მშობლის საბანკო ანგარიშის ნომერი;

მუხლი 7. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებას და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა-განვითარებას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი